რექტორის ანგარიში
თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზი
ოქტომბერი, 2011 წ.

მოგესალმებით,

დიდი მადლობა მობრძანებისათვის.

დღეს მე მინდა კონსერვატორიისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე წარვსდგე 11 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიშით. ვფიქრობ, ყველა თანამდებობის პირი პასუხისმგებელია თავის საარჩევნო პროგრამასა და დაპირებებზე. ამდენად, მეც ვალდებულად ჩავთვალე თავი მომეხსენებინა თქვენთვის, თუ რა გაკეთდა კონსერვატორიაში ჩემი რექტორობის დროს. ვიდრე უშუალოდ 2000 წლიდან რექტორად არჩევის პერიოდს შევეხები, მინდა ცოტა უფრო შორიდან დავიწყო და გავიხსენო კონსერვატორიის დიდი დარბაზის რეკონსტრუქციის პერიოდიც, რამაც, ვფიქრობ, დიდი როლი შეასრულა, როგორც ჩემს შემდგომ მოღვაწეობაში, ისე თვით კონსერვატორიის განვითარების საქმეშიც.

ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ კონსერვატორიის დიდ დარბაზთან დაკავშირებულ ისტორიულ სინამდვილეს.

1937 წლის 15 იანვარს გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა მოლოტოვის ბრძანებულება, რომელიც იუწყებოდა: „დამტკიცდეს 1 მილიონი რუბლი თბილისში კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზის ასაშენებლად. 500 000 რუბლი კი კონსერვატორიის რეკონსტრუქციისათვის“. და მართლაც, 1938-41 წლებში შენობის რეკონსტრუქციის დროს აშენდა კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი, რომელიც იმთავითვე მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს კერად იქცა. 1951 წ. იმისათვის, რომ ამ დარბაზში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ დადგმა განხორციელებულიყო, მაშინდელი რექტორის, ბატონ გრიგოლ კილაძის ინიციატივით მოხდა დარბაზის რეკონსტრუქცია: მოიხსნა პარტერის წინა რიგები, გაკეთდა საორკესტრო ორმო, თუმცა ამით დარბაზმა თეატრის ფუნქცია ვერ შეიძინა (მას არ გააჩნდა თეატრისათვის აუცილებელი კულისები, საგრიმიოროები, სარეპეტიციო ოთახები, სახელოსნოები და სხვ.). საკონცერტო დარბაზის პროპორციები კი უხეშად დაირღვა. „აბესალომის“ წარმატების შემდეგ დარბაზში ბინა დაიდო საოპერო სტუდიამ, ჯერ როგორც კონსერვატორიის განუყოფელმა ნაწილმა, ხოლო 1979 წლიდან, როგორც დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფმა იურიდიულმა ერთეულმა. უდავოა, რომ მან უდიდესი როლი შეასრულა ქართული ვოკალური კადრების აღზრდის საქმეში.

1963 წ. ამავე დარბაზში ბატონ იონა ტუსკიას ინიციატივით დაიდგა პირველი პროფესიული ორგანი. ამასთანავე, დარბაზში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური და კონსერვატორიის სტუდენტური ორკესტრები, გუნდი, სისტემატიურად იმართებოდა ფილარმონიული კონცერტები.

ასეთ ექსპლუატაციას დარბაზმა ვერ გაუძლო და 1988 წ. მან ხანგრძლივი დროით შეწყვიტა ფუნქციონირება. მიუხედავად ვოკალური კათედრისა და საოპერო სტუდიის ხელმძღვანელობის არა ერთი მცდელობისა, მისი აღდგენა ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, 10 წლის დუმილის პერიოდში, სამწუხაროდ, იგი მთლიანად გაიძარცვა და განადგურდა. უკიდურესად დაზიანდა და მწყობრიდან გამოვიდა ჩვენი უძვირფასესი ორგანიც. 1993 წ., ჩემი დაჟინებული თხოვნის შედეგად მოხერხდა ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრა.

ეს ის წლებია, როდესაც საქართველოში არც შუქია და არც გათბობა, არც ტრანსპორტი მოძრაობს, ხალხს ქუჩაში გამოსვლის ეშინია, უიმედობა, დეპრესია და ტოტალური მიგრაცია მძვინვარებს. მუსიკოსებს დაკარგული აქვთ იმედი, რომ ამ ქვეყანაში მათი პროფესია ვინმეს სჭირდება. ყველა, ვისაც კი ამის შესაძლებლობა ჰქონდა, ტოვებდა ქვეყანას. არ დავმალავ, ეს შესაძლებლობა არაერთგზის მქონია მეც.

ბატონ ედუარდთან ჩემი ვიზიტის მიზანი კონსერვატორიის დიდი დარბაზის აღდგენა და მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის დაარსება იყო. ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ ამ უმძიმეს პერიოდში ჰქონდა სასიცოცხლო მნიშვნელობა პოზიტიური პროცესების დაწყებას.

ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ 1995 წელს ჩატარებული მუსიკოს-შემსრულებელთა I რესპუბლიკური კონკურსი უდიდესი სტიმული და იმედი იყო ყველა თაობის მუსიკოსისათვის, მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კლასიკური მუსიკის ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარებისთვისაც. იმ წლიდან მოყოლებული ეს კონკურსი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება.

რაც შეეხება დიდ დარბაზს, მისი რეკონსტრუქციის ბრძანებულება 1996 წელს გაიცა. ამავე წელს, კონსერვატორიის სამხატვრო - სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით, კულტურის სამინისტროს მიერ მე დავინიშნე დიდი დარბაზის სამხატვრო ხელმძღვანელად და გენერალურ დირექტორად.

წარმატებით ჩატარებულმა რესპუბლიკურმა კონკურსმა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ჩატარების იმედიც გააჩინა. სწორედ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი გახდა უმთავრესი მოტივაცია კონსერვატორიის დიდი დარბაზის რეკონსტრუქციისათვის, რომელიც 1997 წლის მარტში დაიწყო და 7 თვეში დასრულდა.

მოკლედ მოგახსენებთ, თუ რა სამუშაოები ჩატარდა დარბაზის რეკონსტრუქციის დროს: შეიცვალა სხვენი და სახურავი; დამონტაჟდა სრულიად ახალი თანამედროვე კონდიცირებისა და გათბობის სისტემა; ხუთივე სართულზე დაიგო მარმარილო; გამოიცვალა წყლის, განათების, ელექტროობის სისტემები, კარ-ფანჯრები; მოწესრიგდა საარტისტო და სველი წერტილები; მექანიზირებული გახდა სცენა, რათა კომფორტული გამხდარიყო საოპერო სტუდიის სპექტაკლების დადგმა; შეიცვალა დარბაზის კოლორი, კოლონები, დამშვენდა სუსალური ოქროთი; იტალიაში შეძენილ იქნა სავარძლები, სკამები და ჭაღები; შეიქმნა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ხმის ჩამწერი სტუდია.

დარბაზის რეკონსტრუქციის დროს მაქსიმუმი გაკეთდა, რათა დარბაზით ესარგებლა სასწავლო პროცესს; ასევე, უნდა აღდგენილიყო მისი ფილარმონიული ფუნქციები, რომელიც თვით კონსერვატორიის მისიის ერთ-ერთი უმნიშნელოვანესი ნაწილია.

კონსერვატორიის დიდი დარბაზის აღდგენას წინ უძღოდა მრავალწლიანი მუშაობა სხვადასხვა ინსტანციებთან: პრეზიდენტთან, ფინანსთა და კულტურის სამინისტროებთან, მერიასთან, სხვადასხვა ფირმებსა და ორგანიზაციებთან.

1997 წლის 5 ოქტომბერი საქართველოს მუსიკალური ხელოვნების ისტორიაში აღინიშნა ორი მნიშვნელოვანი მოვლენით: საზეიმოდ გაიხსნა კონსერვატორიის რესტავრირებული დიდი დარბაზი და პიანისტთა თბილისის I საერთაშორისო კონკურსი. ჩვენი ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი სულ რამდენიმე ასეული მილიონი იყო, გამოიყო უზარმაზარი თანხა დარბაზის რეკონსტრუქციისათვის. შეძენილ იქნა „სტეინვეის“ ფირმის ორი ახალი საკონცერტო როიალი და დაფუძნდა პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსი.

ამავე წელს დარბაზში დაარსდა საერთაშორისო ფესტივალი „საახალწლო მუსიკალური შეხვედრები, რომელიც აი უკვე მეორე ათეული წელია დიდი წარმატებით ტარდება და რომლის სტუმრებიც მსოფლიოში სახელგანთქმული მუსიკოსები არიან.

დარბაზის გახსნის შემდეგ დავიწყეთ მოლაპარაკებები გერმანიის საელჩოსა და საქართველოს მთავრობასთან, რათა დაგვხმარებოდნენ ჩვენი უძვირფასესი ორგანის აღდგენაში. როგორც იცით, იგი გერმანული წარმოშობისაა და „ალექსანდრე შუკე - პოტსდამის“ ფირმას ეკუთნის. და მართლაც, საქართველოსა და გერმანიის მთავრობების ერთობლივი დაფინანსებით ჩვენს შესანიშნავ ორგანს დაუბრუნდა სიცოცხლე. მინდა უდიდესი მადლიერებით გავიხსენო ბატონი ზურაბ ჟვანია, რომელიც პირადად გვეხმარებოდა ამ პრობლემის მოგვარებაში. ორგანის აღსადგენად პოტსდამიდან ჩამოსული ოსტატები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდნენ. ამ სამუშაოებს კი ხელმძღვანელობდა სწორედ იმ შუკეს შვილიშვილი, რომელმაც თავის დროზე ააგო ჩვენი ორგანი კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

2000 წელს კონსერვატორიის რექტორად არჩევა ჩემთვის იყო უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობა. ამავე დროს, იმ ურთულეს პერიოდში - უმძიმესი ტვირთიც. ჩემი ღრმა რწმენით, თბილისის კონსერვატორია თავისი ტრადიციებით, ადამიანური, შემოქმედებითი რესურსებით და უნიჭიერესი ახალგაზრდა კადრებით უნდა ყოფილიყო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამუსიკო უმაღლესი სასწავლებელი. ამისთვის კი ბევრი რამ იყო გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა, ინფრასტრუქტურის შექმნა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სასწავლო, შემოქმედებითი პროცესის ნორმალური ფუნქციონირება და სწავლის ხარისხის ამაღლება, რაც პრაქტიკულად განსაზღვრავს სასწავლო დაწესებულების იმიჯს. ჩემი აზრით, ამ ფაქტორებზე დიდად იყო დამოკიდებული თბილისის კონსერვატორიის ინტეგრაცია საერთაშორისო მუსიკალურ სივრცეში.

ბევრ თქვენგანს კარგად ახსოვს, რომ გარემო, რომელშიც კონსერვატორია იმ წლებში იმყოფებოდა აბსოლუტურად შეუფერებელი იყო მისთვის. IV სართულზე სახურავიდან საჟური წყალი ინსტრუმენტებში ჩადიოდა, მცირე დარბაზის კედლებიდან ცა მოჩანდა,

ანტისანიტარიული სველი წერტილები, სამარცხვინო წარწერებით აჭრელებული კედლები, განადგურებული ინვენტარი, ინსტრუმენტები და ა.შ. კონსერვატორიის ბიუჯეტი 400 000 ლარს შეადგენდა. პროფესორის ხელფასი ერთ განაკვეთზე 42 ლარი იყო, ხოლო სტუდენტის სტიპენდია - 3 ლარი. დიდი დარბაზისგან განსხვავებით კი იმ ეტაპზე სარემონტო სამუშაოებისათვის დამატებითი სახელმწიფო დაფინანსების არანაირი შანსი არ არსებობდა.

იმისათვის, რომ მუშაობისთვის ელემენტარული ადამიანური პირობები შექმნილიყო, გამოვაცხადეთ შაბათობა და საკუთარი ძალებით დავასუფთავეთ შენობა. არასოდეს დამავიწყდება, თითქმის მთელი კონსერვატორია დაწყებული პროფესორ-მასწავლებლებით, დამთავრებული სტუდენტებით რეზინის ხელთათმანებში როგორ ვხეხავდით და ვასუფთავებდით. მახსოვს ისიც, იმ დღის შემდეგ სტუდენტები როგორ უფრთხილდებოდნენ თავიანთ ნაშრომს.

ვინაიდან ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, შევჩერდები მხოლოდ უმთავრეს პროცესებსა და ფაქტებზე.

იმ წლების მთავარი პრობლემა უშუქობა და სიცივე იყო. ბუნებრივი გაზი კონსერვატორიაში არ იყო შემოყვანილი. მაღალი წნევის გაზით, რომლის გარეშეც გათბობის სისტემა არ მუშაობდა, მხოლოდ პრეზიდენტის, პარლამენტის და უზენაესი სასამართლოს შენობები სარგებლობდნენ მთაწმინდის რაიონში. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, მერიის დახმარებითა და ბატონი ლადო ჭანტურიას კეთილი ნებით, სასამართლოს შენობიდან შემოვიყვანეთ ბუნებრივი გაზი. ალბათ, ბევრ თქვენგანს ახსოვს, რა ბატალიები იმართებოდა მოსახლეობასთან ამასთან დაკავშირებით.

დიდი პროტექციით ელექტროენერგიით უზრუნველყოფის პრობლემაც გადაიჭრა. კონსერვატორიის ელექტროსადენები შევუერთეთ ახლადაშენებული სასტუმრო „მერიოტის“ ხაზს, რის შედეგადაც მივიღეთ 24 საათიანი განათება. ამგვარად გათბა და განათდა კონსერვატორია. შესაბამისად პროფესორ-მასწავლებლები დაუბრუნდნენ თავიანთ აუდიტორიებს და სრულფასოვნად აღდგა სასწავლო პროცესი ზამთრის თვეებში. მინდა აღვნიშნო, რომ 1998-2002 წლებში მე ვიყავი თბილისის I მოწვევის საკრებულოს წევრი. არ დავმალავ, ამან დამატებით მომცა შესაძლებლობა მომეგვარებინა კონსერვატორიის პრობლემები. არ შემიძლია უდიდესი მადლიერებით არ მოვიხსენიო იმდროინდელი ქალაქის მერი - ბატონი გია შარაძე, რომელმაც არაერთი სიკეთე გააკეთა კონსერვატორიისთვის.

2001 წ. კონსერვატორია გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულებით, როგორც ექსპერიმენტი, კონსერვატორია პირველი გადავიდა მიზნობრივ-პროგრამულ დაფინანსებაზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა იმავე ბიუჯეტის ფარგლებში მიგვეღო ხელფასების 30% - იანი მატება.

ამავე დროს, კონსერვატორიამ საქართველოში პირველად შეიმუშავა ერთი სტუდენტის მომზადების ნორმატივი, რაც ჩვენი გათვლებით 8000 ლარს უდრიდა. იქედან მოყოლებული დაიწყო ყველა ინსტანციაში მუშაობა ბიუჯეტის აუცილებელ გაზრდაზე.

11 წლიანი პაუზის შემდეგ აღდგა საოპერო სტუდიის სპექტაკლები კონსერვატორიის დიდ დარბაზში. იგივე ითქმის სტუდენტურ ორკესტრზეც, რომელიც პრაქტიკულად თავიდან დაარსდა.

კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების წრემ დაიწყო გაფართოება. გერმანელმა მომღერალმა და მენეჯერმა ბატონმა ლუდვიგ ბაუმანმა თავის საოპერო მუსიკის ფესტივალზე მიიწვია ჩვენი საგუნდო და ვოკალური კათედრების 40 სტუდენტი და პედაგოგი.

2001 წ. გერმანიაში მოღვაწე ჩენი თანამემამულის გია ქობულაშვილისა და საფრანგეთის საელჩოს ხელშეწყობით თბილისში ჩამოდის სახელგანთქმული ფრანგი ჰობოისტი ფრანსუა ლოლო. ის ენთუზიაზმი, რომელიც ჩვენთან სუფევდა ყველა სტუმარს უჩენდა დახმარებისა და ხელშეწყობის სურვილს. ფ. ლოლოს ინიციატივით დავაარსეთ ჩასაბერ საკრავთა კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად სხვადასხვა ინსტრუმენტებში იმართებოდა. ასე ჩატარდა ჰობოის, კლარნეტის, ფლეიტისა და საყვირის კონკურსები. გამარჯვებულები ჯილდოდ შესანიშნავ ინსტრუმენტებს იღებდნენ. ჟიურის წევრებად ფ. ლოლოს თავისი მეგობრები ჩამოჰყავდა, რომლებიც კონკურსის ფარგლებში მართავდნენ მასტერკლასებს. ამ კონკურსმა უდიდესი როლი ითამაშა ჩასაბერი საკრავების კათედრის შემდგომი მიღწევების და ჩასაბერი საკრავებით ახალგაზრდა მუსიკოსების დაინტერესებაში.

ამავე წელს იუნესკოს მიერ ქართული ხალხური სიმღერის არამატერიალურ ძეგლად აღიარებამ მიბიძგა იმისკენ, რომ კონსერვატორიაში ბატონ ანზორ ერქომაიშვილთან ერთად ჩაგვეტარებინა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მთავარი მიზანი იყო კონსერვატორიაში მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრის დაარსება. ჩემი ვარაუდით სხვადასხვა ქვეყნიდან სიმპოზიუმზე ჩამოსულ გამოჩენილ ეთნომუსიკოლოგებს მხარი უნდა დაეჭირათ ამ იდეისთვის, რომლის განხორციელება სერიოზულ თანხებთან იყო დაკავშირებული, იმისათვის რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება მიგვეღო, მათ მხარდაჭერას ცენტრის შექმნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ეროვნული საქმის გასაკეთებლად შევძელით მთავრობის დაინტერესება, რათა საჭირო თანხები მოგვეპოვებინა სიმპოზიუმის ჩასატარებლად. 2002 წ. ბრწყინვალედ ჩატარებულმა ტრადიციული მრავალხმიანობის I საერთაშორისო სიმპოზიუმმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ყველა ვარაუდი გამართლდა. მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ჩვენ მოვიპოვეთ იუნესკოს გრანტი 135 000 აშშ დოლარი, რომლის ერთი ნაწილი, 70 000 დოლარი განკუთვნილი იყო თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის და ახლადდაფუძნებული მრავალხმიანობის საერთაშორისო კვლევის ცენტრის ტექნიკური აღჭურვისათვის, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და ექსპედიციებისათვის, ხოლო მეორე ნაწილი კი - ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისათვის. ამ გრანტით იუნესკომ, იაპონიის მთავრობის დაფინანსებით, თბილისის კონსერვატორიაში განახორციელა ქართული ტრადიციული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების პროგრამა.

ეს იყო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა - პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული პოლიფონიის კვლევისათვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ესოდენ დიდი ფინანსური დახმარება გამოყო. როგორც იცით, 2002 წლიდან, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ,

მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმის ჩატარება თბილისის კონსერვატორიაში ტრადიციად იქცა. ჩემი აზრით, იმ წლებში ქართული ფოლკლორის „ბუმის“ შექმნაში ჩვენს სიმპოზიუმს საპატიო ადგილი უკავია და რაც მთავარია, მან ძალიან დიდი როლი ითამაშა ამ სფეროში ახალგაზრდა კადრების მოზიდვის საქმეში.

2002 წ. კონსერვატორიის მოწვევით თბილისში ჩამოვიდნენ ბეთჰოვენის სახელობის ფესტივალის დირექტორი ბატონი ფრანც ვილნაუერი და „დოიჩე ველეს“ დირექტორატის რამდენიმე წარმომადგენელი. ფესტივალზე, ტრადიციის თანახმად, ყოველწლიურად იწვევდნენ ახალგაზრდა სტუდენტურ სიმფონიურ ორკესტრებს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ჩვენი ორკესტრი იმ პერიოდისთვის სრულიად ახლად შემდგარი იყო და, რა თქმა უნდა, საუკეთესო შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ჩემი დაჟინებული თხოვნით შევთანხმდით, რომ ისინი ერთი წლის შემდეგ კვლავ მოისმენდნენ ორკესტრს. რა თქმა უნდა, ჩემი მხრივ ეს გარკვეული ავანტიურა იყო, მაგრამ ამ რისკს ძალიან დიდი შედეგის მოტანა შეეძლო. და მართლაც, ერთწლიანმა მუშაობამ და ფესტივალზე მოხვედრის სურვილმა თავისი შედეგი გამოიღო. 2003 წ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტური სიმფონიური ორკესტრი დიდი წარმატებით გამოვიდა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე - ბეთჰოვენის სახელობის საერთაშორისო ფესტივალზე ბონში. მოწვევასთან ერთად ბონის ფესტივალმა 10 000 ევრო გამოყო ორკესტრის სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების საჭირო ნაწილების შესაძენად. შეიძლება ითქვას, ჩვენმა სტუდენტებმა და პედაგოგებმა შეუძლებელი შეძლეს. ამის დასტურია „ დოიჩე ველეს“ მიერ გამოშვებული კომპაქტდისკი კონცერტის ცოცხალი ჩანაწერით. ბონის ფესტივალი ჩვენთვის ყველასთვის იყო დიდი სკოლა და დღესასწაული.

რაც შეეხება შენობის კაპიტალურ რემონტს, ამ პრობლემის გადაჭრას სტაბილური და სოლიდური თანხების მოზიდვა ესაჭიროებოდა.

ნუ გაგიკვირდებათ თუ ჩემს ანგარიშში ხშირად გაიჟღერებს ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „დიდი ძალისხმევის შედეგად“, „ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ“, „დაჟინებული თხოვნით“ და ა.შ. ეს იყო ის რეალობა, რომელიც თან ახლდა ყოველ გაკეთებულ საქმეს. მოგეხსენებათ, საქმის გასაკეთებლად კონსერვატორიაში თვითონ არავინ მორბოდა და არც ფულის აღებას არავინ გვეხვეწებოდა. ეს იყო დიდი მონდომების, მოთმინებისა და ტაქტიკური სვლების შედეგად მოპოვებული თითოეული ლარი.

იმისათვის, რომ შენობის რეკონსტრუქციის საკითხი ადგილიდან დაგვეძრა, უპირველეს ყოვლისა, ძეგლთა დაცვის სამმართველოში შევქმენით კონსერვატორიის შენობის პასპორტი, რომელიც ადასტურებდა, რომ იგი იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შესული ნაგებობა. ამ პასპორტმა დიდი სამსახური გაგვიწია, ვინაიდან ძეგლის სტატუსი სახელმწიფოს ავალდებულებდა მის მოვლა-პატრონობას; უცხოელ სპონსორებზე კი ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

2002 წელს ჩემს იდეას კონსერვატორიის მზრუნველთა საბჭოს შექმნის შესახებ მხარი დაუჭირეს ბატონებმა: მამუკა ხაზარაძემ, გოგი თოფაძემ, ავთანდილ წერეთელმა, ბადრი პატარკაციშვილმა. ამ ადამიანებმა ჩვენი ქვეყნის უმძიმეს წლებში ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს

კონსერვატორიას და ზოგადად ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას. ამავე დროს, კონსერვატორიის შენობა, რომელიც კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, გადავიყვანეთ ადგილობრივ, მერიის დაქვემდებარებაში, ამის აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან შენობის მოსავლელად თანხები არ გამოიყოფოდა. მერიას კი უფლებამოსილება არ ჰქონდა კონსერვატორიაზე ხარჯები გაეწია. მას შემდეგ, რაც მივიღეთ კულტურისა და ქონების მართვის სამინისტროების ნებართვა, მერია უკვე ოფიციალურად იღებდა ვალდებულებას, გამოეყო გარკვეული თანხა კონსერვატორიის შენობის, როგორც თბილისის არქიტექტურული ძეგლის მოვლა-პატრონობაზე. ამგვარად ყოველწლიურად სპონსორებისა და მერიის მიერ გამოყოფილი თანხებით შენობის სართულ-სართულ რეკონსტრუქცია დავიწყეთ. შემოწირული თანხების ჩასარიცხად სპეციალურად დავაარსეთ კონსერვატორიის განვითარების ფონდი. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა სამუშაო სრულდებოდა ზაფხულის თვეებში, 24 საათიანი რეჟიმის პირობებში, რათა სასწავლო პროცესს ხელი არ შეშელოდა.

შენობის კაპიტალური რემონტი დაიწყო IV სართულიდან, ვინაიდან წვიმისა და თოვლის გამო, სწორედ ეს სართული საჭიროებდა გადაუდებელ შველას. დიდი ძალისხმევის შედეგად 2003 წ. „ბრიტიშ პეტროლიუმის“ კომპანია დავიყოლიეთ სპონსორობაზე. იმ წელს III სართული და საოპერო სტუდიისათვის ახალი V სართული ერთდროულად შენდებოდა. ერთი წლის შემდეგ, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად ბატონ ბიძინა ივანიშვილის ფონდმა „ქართუმ“ კონსერვატორიის ისტორიული ნაწილის აღდგენა იტვირთა.

თავს არ შეგაწყენთ იმ სამუშაოების ჩამონათვლით, რაც გაკეთდა. გამოიცვალა პრაქტიკულად ყველაფერი - სახურავიდან საძირკვლამდე, და ამავე დროს შენობის რეკონსტრუქციის შედეგად კონსერვატორია გაფართოვდა: გაჩნდა ახალი 5 სართული საოპერო სტუდიისათვის სარეპეტიციო დარბაზით, აუდიტორიებით, საგრიმიოროთი და გარდერობებით; პირვანდელი სახე დაუბრუნდა უმშვენიერეს მცირე დარბაზს და ამავე დროს იგი აღიჭურვა თანამედროვე გათბობისა და კონდიცირების სისტემით; ადგილი შეიცვალა და გაფართოვდა ბიბლიოთეკა, შეიქმნა ახალი საბიბლიოთეკო საცავი; I სართულზე გაკეთდა სარეპეტიციო კლასები სტუდენტთათვის; შეიქმნა ახალი სრულიად ახალი ტიპის ფონოტეკა თანამედროვე ტექნიკით. გაჩნდა ახალი დარბაზები - კამერული, საოპერო სტუდიის, დიდი აუდიტორიები - საორკესტრო, საგუნდო, სალექციო, კონფერენცდარბაზი, საპროფესორო, სპორტდარბაზი, სასადილო, უმშვენიერესი ეზო, 2 სასტუმრო ოთახი, რომელიც სპეციალურად მოეწყო კონსერვატორიის მოწვეული უცხოელი სტუმრებისათვის, მათთვის, ვინც მასტერკლასებსა და კონცერტებს ატარებენ ჩვენთან. ეს ოთახები დიდ ფინანსურ ეკონომიას უწევენ ჩვენს ბიუჯეტს; კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა კონსერვატორიის შენობის მთლიან ფასადს; გამოიცვალა მთაწმინდის კოლექტორი, რომელიც კონსერვატორიის ქვეშ გადის. იგი უმძიმეს, ავარიულ, მდგომარეობაში იყო და საფრთხეს უქმნიდა კონსერვატორიის შენობას. გარემონტდა ლაღიძის ქუჩის კოლექტორია, რომელიც მეორე მხრიდან აზიანებდა კონსერვატორიის დიდ დარბაზს; 2005 წ. „ქართუს“ დაფინანსებით დიდ დარბაზშიც ჩატარდა მიმდინარე რემონტი; შეძენილ იქნა ახალი, რიგით მესამე „სტეინვეის“ ფირმის საკონცერტო როიალი.

მთლიანად შეიცვალა კონსერვატორიის ინვენტარი. რესტავრაცია გაუკეთდა ისტორიულ ავეჯს, ჭაღებს. დავიწყეთ კონსერვატორიის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით - კომპიუტერებით, მუსიკალური ცენტრებით, CD და DVD პლეიერებით. შევიძინეთ აპარატურა, რომლის მეშვეობით ძველი ჩანაწერები, რომლებიც დაღუპვის პირას იყო მისული, გადატანილ იქნა კომპაქტდისკებზე. ამით პრაქტიკულად გადავარჩინეთ ქართული მუსიკის უნიკალური ნიმუშები.

ჩვენმა ქართველმა და უცხოელმა მეგობრებმა თბილისის კონსერვატორიის დასახმარებლად არა ერთი საქველმოქმედო ფონდი შექმნეს: ლევ მარკიზმა - ჰოლანდიაში, მარკ მალკოვიჩმა - ამერიკაში, ელიზაბეტ გასტმა - გერმანიაში, მოგვიანებით, თამარ კორძაძემ - შვეცარიაში. დაიწყო საბიბლიოთეკო ფონდების განახლება - გამდიდრება. მ. მალკოვიჩმა საკუთარი ხარჯებით თავისი ნიუ-პორტის ფესტივალის უმდიდრესი ბიბლიოთეკის სანოტო ასლები გამოგვიგზავნა ამერიკის საელჩოს მეშვეობით. ფონოტეკა შეივსო გერმანელი მეცენატი ქალის ე. გასტისა და მისი მეგობრების მიერ გამოგზავნილი კომპაქტდისკებით, და დღეს მის საცავში 5000-ზე მეტი დისკია. ლევ მარკიზმა საკუთრივ შექმნა საორკესტრო ლიტერატურის ბიბლიოთეკა თბილისის კონსერვატორიაში. დავიწყეთ ზრუნვა ინსტრუმენტული ფონდის შექმნაზე. შევიძინეთ „იამაჰას“ ფირმის საკონცერტო როიალი, რომელიც ადრე ხმისჩამწერი ფირმა „მელოდიის“ საკუთრება იყო.

მ. მალკოვიჩის დახმარებით „იამაჰას“ ფირმამ საჩუქრად გადმოგვცა კლავინოლა. არაერთი ჩასაბერი, სიმებიანი და დასარტყამი ინსტრუმენტი და სათადარიგო ნაწილი მივიღეთ საჩუქრად. ამ ფონდების შექმნაში უამრავი ჩვენი მეგობარი იღებდა მონაწილეობას: სანდრა რულოვსი, ფრანსუა ლოლო, ლევ მარკიზი, გია ქობულაშვილი, თემურ ახობაძე, გვიდო ზეგერსი, ჯეფრი ჯეიმსი, მარკ მალკოვიჩი, ბადრი პატარკაციშვილი, გია ყანჩელი, სოსო ბარდანაშვილი, ვლადიმერ სპივაკოვი, ნანა გელოვანი, გიორგი ჩხენკელი, ელენ შულთჰესი და ბევრი სხვა.

ამ პროცესებში მონაწილეობას იღებდნენ ორგანიზაციებიც: ა. დიუმას სახელობის კულტურის ცენტრი, საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა, ი. გოეთეს სახელობის ინსტიტუტი.

2005 წ. სარემონტო სამუშაოების გამო ერთი წლის დაგვიანებით, საზეიმოდ აღვნიშნეთ მცირე დარბაზის კურთხევის 100 წლისთავი.

2005 წელი აღინიშნა კიდევ ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტით. გავაუქმეთ კონსერვატორიის დიდი დარბაზის დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი, რომელიც მას 1979 წლიდან ჰქონდა და დავაბრუნეთ იგი კონსერვატორიის ერთიან ბალანსზე. ამით საბოლოოდ დაესვა წერტილი მისი გამოყოფის ან გასხვისების უსაფუძვლო შიშებს.

2007 წ. პრეზიდენტის პატრონაჟით საზეიმოდ აღინიშნა კონსერვატორიის 90 წლისთავი. დიდ და მცირე დარბაზებში ჩატარდა კონცერტების სერია, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენმა პროფესორ - მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მოწვეულმა სტუმრებმა და ჩვენმა სახელოვანმა კურსდამთავრებულებმა. კონსერვატორიის მუზეუმში მოეწყო კონსერვატორიის ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია. ჩატარდა კონფერენციები, მასტერკლასები, გამოიცა ინგლისური და ქართულენოვანი წიგნი - ბუკლეტები, რომლებიც გამომცემლობა „ნოვო საიენს პაბლიშენმა“

დაბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. გამოიცა საიუბილეო კომპაქტდისკი უნიკალური საარქივო ჩანაწერებით. საიუბილეო ღონისძიებებისათვის თანხა (120 000 ლარი) გამოიყო პრეზიდენტის ფონდიდან.

მინდა ორიოდე სიტყვით შევეხო სტუდენტური სტიპენდიების საკითხს. კონსერვატორიაში ყოველთვის არსებობდა სახელობითი და სახელმწიფო სტიპენდიები. სამწუხაროდ, ფინანსური სიდუხჭირის გამო გარკვეულ წლებში ეს სტიპენდიები არ გაიცემოდა.

2001 წლიდან აღდგა ზ. ფალიაშვილის, ნ. სულხანიშვილის, დ. არაყიშვილის სახელობის სტიპენდიები. ამის გარდა სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა პერიოდით დაინიშნა პრეზიდენტის, კერძო პირებისა და ფირმების სახელობითი სტიპენდიები სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის. მინდა გაგაცნოთ ეს სია: 1. პრეზიდენტის; 2. ლიზა ლეონსკაიას; 3. მანანა დოიჯაშვილის; 4. გოგი თოფაძის; 4 ვლადიმერ სპივაკოვის; 4. იოსებ ბარდანაშვილის; 5. ჰენრიხ და სტანისლავ ნეიჰაუზების; 6. ლექსო თორაძის; 7. პაატა ბურჭულაძის; 8. კოტე ფოცხვერაშვილის; 9. კუკური ჭოხონელიძის; 10. ეთერ ანჯაფარიძის; 11. ლევ მარკიზის; 12. გია ყანჩელი - ჯანსუღ კახიძის; 13. ლიანა ისაკაძის; 14. მაია თომაძის; 15. ცაცა ნამორაძის; 16. ხატია ბუნიათიშვილის.

2004 წ. საქართველოში დაიწყო უმაღლესი განათლების რეფორმა. უდავოა, რომ უმაღლესი განათლება მოითხოვდა სერიოზულ ცვლილებებს, და ამავე დროს, გონივრულ მიდგომას მთელი რიგი დარგებისადმი, განსაკუთრებით კი ისეთი სპეციფიკური და წარმატებული დარგისადმი, როგორიც სამუსიკო განათლებაა.

მოგეხსენებათ, სამუსიკო განათლება ერთადერთია, რომელიც საჭიროებს უწყვეტ სისტემურ, მიზანმიმართულ სწავლას ადრეული ასაკიდან უმაღლესი სკოლის ჩათვლით, რაც სამწუხაროდ, არ იქნა გათვალისწინებული. ქვეყნის მასშტაბით არსებული 7 წლიანი სამუსიკო სკოლები გადაყვანილ იქნენ თვითდაფინანსებაზე და გარდაიქმნენ 6 წლიან სახელოვნებო სკოლებად, სადაც მუსიკის გვედრით გაჩნდა ცეკვის, ხატვის, აერობიკის, ჭრა-კერვის და ა.შ. სპეციალობები. უმაღლესი განათლების კანონის თანახმად, ლიკვიდირებულ იქნა საშუალო პროფესიული სასწავლებლები, სამუსიკო განათლების უმნიშვნელოვანესი რგოლი, რომელიც აკავშირებდა დაწყებით და უმაღლეს განათლებას. გაუქმდა ერთიანი სამუსიკო საგანმანათლებლო სტანდარტები და პროგრამები. მთელი სამუსიკო განათლება ცენტრალიზებული მართვის მიღმა დარჩა. სახელმწიფო დაფინანსების შემცირებას მოჰყვა სწავლის ღირებულების გაზრდა. ამან კი არსებული სოციალური ფონდიდან გამომდინარე გამოიწვია სამუსიკო განათლებაზე ორიენტირებული კონტინგენტის მკვეთრი შემცირება და შემოქმედებითი რესურსების გაბნევა.

ქვეყნის უმაღლესი განათლება შეუერთდა ბოლონიის პროცესს. შეიცვალა უმაღლესი დაწესებულებების სტრუქტურა და მართვა, შემოვიდა საკრედიტო სისტემა, უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციისა და მონიტორინგის ახალი ფორმები და პრინციპები. მიუხედავად თავდაუზოგავი ბრძოლისა, იმ ეტაპზე სტრუქტურულად კანონში ვერაფრის შეცვლა ვერ მოხერხდა.

და მაინც, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, სახელოვნებო უმაღლესებმა შევინარჩუნეთ სახელმწიფო დაფინანსება სუფსიდიის სახით, რასაც ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ჩვენი აბიტურიენტებისათვის ეროვნულ გამოცდებზე დავაწესეთ მინიმალური 15 ქულიანი ზღვარი. შევინარჩუნეთ მისაღები გამოცდების ჩვენეული სისტემა და შემოქმედებითი ტურები. დიდი ბრძოლის შედეგად გავათანაბრეთ დოქტორისა და საშემსრულებლო სპეციალობებში პროფესორის სტატუსი. ლომის წილი ამ გადაწყვეტილებების მიღებაში კონსერვატორიას მიუძღვის. და რაც მთავარია, კონსერვატორიამ არ ჩაატარა კადრების ოპტიმიზაცია, რომელიც საქართველოს პრაქტიკულად ყველა უმაღლეს სასწავლებელში უდიდესი დანაკარგებით და ძალიან მტკივნეულად განხორციელდა. ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი ყველა თაობის პროფესორ-მასწავლებლები.

ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით, ცნობის სახით, მინდა პატარა ინფორმაცია მოგაწოდოთ. 2005 წ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია გახდა ევროპული უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის წევრი. ყოველწლიურ კონგრესებსა და ასამბლეებზე მე არ მინახავს არც ერთი ქვეყნის კონსერვატორიის წარმომადგენელი, რომელიც ბოლონიის პროცესს აუგად არ მოიხსენიებდა. ერთადერთი სიკეთე, რაზედაც ყველა თანხმდება, სტუდენტებისათვის მობილობის საშუალება და ერაზმუს პროგრამის მრავალმილიონიანი დაფინანსებაა, რის გამოც ბოლონიის პროცესზე უარს არ ამბობენ, პირიქით, მაქსიმალურად იყენებენ, და რაზეც ჩვენ სრულფასოვნად ხელი არ მიგვიწვდება, რადგაც არა ვართ ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

ცვლილებები უმაღლესი განათლების კანონში ელვის სისწრაფით ხორციელდება. ჩვენ ვცდილობთ მოვერგოთ აუცილებელ ჩარჩოებს, სადაც არ გამოგვდის, ვიბრძვით მათ შესაცვლელად, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები და ასეა დღემდე. მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ის სიხისტე, რომელიც რეფორმის პირველ წლებში იყო, ჩვენი პრობლემების მიმართ უფრო გააზრებული მიდგომებით შეიცვალა.

მე ბევრჯერ მითქვამს და მინდა გავიმეორო, რომ თუ ჩვენ რაიმე გვაქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი - ეს ჩვენი მუსიკალური ხელოვნებაა. ჩვენს კონსერვატიულ სფეროში უმნიშვნელო ცვლილებებიც კი დიდ ძვრებთანაა დაკავშირებული და უდიდეს სიფრთხილეს მოითხოვს. და რაც მთავარია, რეფორმები ჩვენს სფეროში პროფესიონალების გასაკეთებელია.

სრული ქაოსი, რომელიც სამუსიკო განათლებაში შეიქმნა, საფრთხეს უქმნიდა არა მარტო კონსერვატორიის მომავალს, არამედ ზოგადად ქვეყნის მუსიკალურ ხელოვნებას.

2005 – 06 წლებში კონსერვატორიის ინიციატივით განახლებული სახით შეიქმნა უწყვეტი სამუსიკო განათლების კონცეფცია, რომელიც ერთის მხრივ, ითვალისწინებდა არსებულ სამუსიკო განათლების საუკუნოვან ტრადიციებს, მეორეს მხრივ კი - დასავლური სამუსიკო განათლების სფეროში მიმდინარე ინოვაციებს.

ამ კონცეფციამ დიდი მოწონება დაიმსახურა 2008 წ. თბილისში ჩატარებულ საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების მსოფლიო ფედერაციის ასამბლეაზე.

ჩვენი მთავარი მიზანი სწავლების უწყვეტობის აღდგენა იყო. თერთმეტწლიანი სპეციალური სამუსიკო სკოლები, რომლებიც, ფაქტობრივად, მოიაზრებოდა როგორც ერთიან რგოლში შეკრული დაწყებითი შვიდი კლასი + ტექნიკუმის 4 კურსი, უნდა დაფუძნებულიყო იმ სასწავლებლების ბაზებზე, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით არსებობდა სხვადასხვა ქალაქში და მილევად რეჟიმზე იყო გადაყვანილი. ამით ჩვენ შევინარჩუნებდით იმ სასწავლებლების ქონებას, ინსტრუმენტებს, ინვენტარს, ბიბლიოთეკებს და, რაც მთავარია, პროფესიულ კადრებს და შენობებს, რომლებსაც პრივატიზაციის დიდი საფრთხე ემუქრებოდათ. ეს სასწავლებლები უნდა შექმნილიყო განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისათვის, შესაბამისად, უნდა ყოფილიყო მცირე კონტინგენტიანი, უფასო და, რაც მთავარია, მათ უნდა ჰქონოდათ მყარი სახელმწიფო დაფინანსება. უდიდესი კმაყოფილების გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ შევძელი დამერწმუნებინა კულტურის მინისტრი ბატონი ნიკოლოზ რურუა ასეთი სკოლების დაფუძნების აუცილებლობაში.

2009 წ. კულტურის სამინისტროს მიერ მართლაც დაფუძნდა 11 წლიანი სამუსიკო სკოლები თელავში, რუსთავში და გორში.

კონსერვატორიის ინიციატივითვე ჩვენმა პროფესორ-მასწავლებლებმა ამ სკოლებისთვის შექმნეს ახალი სტანდარტები, პროგრამები და გეგმები, რომლებიც კულტურის სამინისტროს მიერ დამტკიცდა და ქვეყნის მასშტაბით სავალდებულოდ იქნა შეტანილი ამ ტიპის სამუსიკო სკოლებში.

2009 წ. სამთავრობო ბრძანებულებით, კონსერვატორიას შეუერთდა მილევად რეჟიმში მყოფი თბილისის სამუსიკო სასწავლებლების გაერთიანება თავისი ქონებით, ბიუჯეტითა და შენობა-ნაგებობებით ჩუბინაშვილისა და ნუცუბიძის ქუჩებზე. დღეს ამ შენობებში ხორციელდება პროფესიული პროგრამები და დაარსდა კონსერვატორიის თერთმეტწლიანი სამუსიკო სემინარია. სემინარიის დაარსებას წინ უძღოდა საქართველოს პარლამენტისა და სხვადასხვა უწყებებში ხანგრძლივი მუშაობა. საჭირო იყო უმაღლესი და ზოგადი განათლების კანონებში შეტანილი ცვლილებები, რაც სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ შენობაში ფუნქციონირების უფლებას მოგვცემდა. ამით აღდგებოდა ის დიდი ტრადიცია, რომელიც ინტეგრირებულ სწავლას გულისხმობს და რომელმაც თავის დროზე უდიდესი წარმატება მოუტანა ჩვენს მუსიკალურ ხელოვნებას.

ეს პოზიტიური ძვრები სამუსიკო განათლებაში დიდად არის დაკავშირებული კულტურის მინისტრის ბატონ ნიკოლოზ რურუას სახელთან. ეჭვგარეშეა, ეს სკოლები უახლოეს მომავალში თავის შედეგს მოიტანს და ამოავსებს იმ დიდ ვაკუუმს, რომელიც 2004 – 09 წლებში შეიქმნა. ამასთან ერთად, ქალაქის მერის ბატონი გიგი უგულავას მხარდაჭერით თბილისის სახელოვნებო სკოლებისთვის გამოიყო სოლიდური თანხა 1 მილიონი ლარი მუსიკალურად ნიჭიერი მოსწავლეების დასაფინანსებლად. ბატონ გიგის კონსერვატორიისაგან განსაკუთრებული მადლობა ეთქმის სემინარიის შენობის გამაგრებისა და რესტავრაციისათვის. წელს ჩუბინაშვილის ქუჩის ისტორიული შენობა, რომელიც უმძიმეს ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ფაქტობრივად თავიდან აშენდა. ჩატარდა ურთულესი და ძალზე ძვირადღირებული სამუშაოები. ვფიქრობ, უახლოეს 1 – 2 წელიწადში სემინარიის შენობის

ყველა სარეკონსტრუქციო სამუშაოები დასრულდება და ჩვენ გვექნება მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი სამუსიკო სასწავლებელი - კონსერვატორიისთვის ესოდენ სასიცოცხლო მნიშნელობის კიდევ ერთი უძლიერესი საყრდენი.

მინდა ძალიან მოკლედ მოგახსენოთ იმ სასწავლო და შემოქმედებით პროცესებზე, რომელიც ამ წლებში მიმდინარეობდა:

- აღდგა სახელმწიფო გამოცდებზე მოწვეული თავმჯდომარეების ტრადიცია;
- შემოვიღეთ კონცერტმაისტერებისა და პროფესორ-მასწავლებლების ღია კონკურსები;
- დამკვიდრდა სტუდენტურ ორკესტრთან მუშაობის ახალი, დასავლური სისტემა, რომელიც გულისხმობს წელიწადში რამდენიმე მოწვეულ უცხოელ დირიჟორთან მეცადინეობას და კონცერტებს. უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი სტუდენტური ორკესტრის ჩამოყალიბებაში ბატონმა ლ. მარკიზმა, რომელიც 2003 წლიდან რამდენიმე წელი ედგა ორკესტრს სათავეში, როგორც მოწვეული დირიჟორი;
- სისტემატურად ტარდება კათედრების საანგარიშო და საჩვენებელი კონცერტები დიდ დარბაზში;
- ტრადიციად იქცა ყოველწლიური სტუდენტური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები;
- აკადემიური სიმღერის კათედრაზე ექსპერიმენტის სახით შემოვიტანეთ დასავლური ტიპის სტუდიური მეცადინეობის ფორმები;
- კონსერვატორიის მუზეუმში, მცირე და დიდ დარბაზებში დამკვიდრდა შესანიშნავი ტრადიცია - სისტემატურად აღინიშნება კონსერვატორიაში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების საიუბილეო თარიღები, ტარდება თემატური კონცერტები;
- 2006 წ. გაფორმდა ხელშეკრულება ნიუ-იორკის გამომცემლობა „Nova Science Publishe“ - თან, რაც გვაძლევს შესაძლებლობას კონსერვატორიის სამეცნიერო შრომები და სტატიები საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში დაიბეჭდოს;
- ეროვნული მუსიკალური კულტურის გაძლიერების მიზნით დავაარსეთ საეკლესიო მუსიკის მიმართულება. შეიქმნა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები საეკლესიო მუსიკასა და ეთნომუსიკოლოგიაში;
- 2008 – 2009 წლებში დავიწყეთ სადოქტორო პროგრამების განხორციელება. სხვადასხვა ინსტანციებში ჩვენი დიდი ძალისხმევა დასჭირდა საშემსრულებლო დოქტორანტურის შემოღებას;
- მუსიკისმცოდნეობის მიმართულებაზე შეიქმნა ქართულენოვანი სახელმძღვანელოები;
- 2007 წლიდან კონსერვატორიამ დაიწყო პროფესიული პროგრამების განხორციელება. შემოღებულ იქნა ახალი სპეციალობები: ვოკალური და ინსტრუმენტული ჯაზის ხელოვნება, საჯარო სკოლების მუსიკის მასწავლებლისა და ბალეტმაისტერის ხელოვნება;

- უდიდესი როლი შეასრულა პროფესიული დონის ამაღლებაში ჩვენმა რესპუბლიკურმა კონკურსმა, რომელიც ყველა სპეციალობაში ტარდება;
- ჩვენი კონსერვატორიის პოპულარიზაციისა და ინტეგრირების პროცესებს დიდად შეუწყო ხელი პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსმა და დიდი დარბაზის საახალწლო ფესტივალმა. კონკურსებსა და ფესტივალზე ჩამოსული სახელგანქმული მუსიკოსები ატარებენ მასტერკლასებს სხვადასხვა სპეციალობებში. თავის მხრივ, ისინი ხშირად იწვევენ ჩვენს სტუდენტებს სხვადასხვა ქვეყნებში კონკურსებზე, კონცერტებსა და მასტერკლასებზე;
- ქართული მუსიკალური კულტურისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო აღიარებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი 2002 წ. საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების მსოფლიო ფედერაციის წევრი გახდა და უფრო მეტიც, 2009 წელს არჩეულ იქნა თვით ფედერაციის მართვის სტრუქტურაში;
- განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო საქართველოში უცხო ქვეყნების საელჩოების მეგობრობა თბილისის კონსერვატორიასთან. ჩვენ არაერთი ერთობლივი, წარმატებული პროექტი განვახორციელეთ აშშ - ს, პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, ნიდერლანდების, ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, შვეიცარიის საელჩოებთან;
- 2010 წელს თბილისის კონსერვატორიამ მოიგო ნორვეგიის მთავრობის გრანტი, რომლის ღირებულება 600 000 ევროა. გაფორმდა ხელშეკრულება ოსლოს მუსიკის აკადემიასთან. ეს არის ოსლოს აკადემიისა და თბილისის კონსერვატორიის ერთობლივი ოთხწლიანი პროექტი „უმაღლესი სამუსიკო განათლების მოდერნიზაცია - 2011–14 წლები“. იგი გულისხმობს თბილისის კონსერვატორიაში ახალი სამუსიკო ტექნოლოგიების დანერგვას, თანამედროვე ხმის ჩამწერი სტუდიის შექმნას, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციის გაცვლით პროგრამებს. პირველი სამი სტუდენტი უკვე გაემგზავრა ოსლოში სასწავლებლად;
- 2010 წლის მიწურულს ჩვენ მოვიგეთ იაპონიის მთავრობის გრანტიც, რომლის ღირებულება შეადგენს 90 000 ამერიკულ დოლარს. ამ გრანტის მოსაპოვებლად 10 წელზე მეტია ვმუშაობთ. იგი მთლიანად განკუთვნილია „იამაჰას“ ფირმის ჩასაბერი და დასარტყამი ინსტრუმენტების შესაძენად. ამ ინსტრუმენტების ერთი ნაწილი ჩვენ უკვე მიღებული გვაქვს;
- ამ წლების მანძილზე გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება ორმხრივ თანამშრომლობაზე: მიუნჰენის, ხარკოვის, ესტონეთის, ოსლოს, ჰამბურგის, კრაკოვის, პოზნანის, ბელორუსიის, ლატვიის მუსიკალურ აკადემიებსა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებთან. უახლოეს მომავალში, ნოემბრის შუა რიცხვებში დაიდება ხელშეკრულება ლისტის სახელობის მუსიკის აკადემიასთან ბუდაპეშტში;
- მარტო 2011 წელს სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობის მისაღებად თბილისის კონსერვატორიამ თავისი სხვადასხვა სპეციალობების სტუდენტები გააგზავნა: პოზნანში, გდანსკში, ოსლოში, მოლტეპულჩიანოში, რომში, კრაკოვში, ბაიროითში, ოზიმოში, მილანში.

ვფიქრობ, ძალიან შორს წაგვიყვანს ამ წლებში ჩვენი სტუდენტების საერთაშორისო წარმატებების ჩამოთვლა, ისევე როგორც იმ დიდი მუსიკოსების სახელებისა, რომლებიც მოწვეული იყვნენ ჩენთან მასტერკლასებზე, სემინარებზე, კონცერტებზე.

სწორედ კონსერვატორიაში შექმნილმა ცივილიზებულმა გარემომ და ჩვენი სამუსიკო განათლების ტრადიციებმა მოიზიდა ამდენი უცხოელი მუსიკოსი და აღუძრა მათ ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი.

2000 წლიდან კონსერვატორიის ბიუჯეტი 400 000 (ოთხასი ათასი) ლარიდან ეტაპობრივად გაიზარდა და 2011 წლისთვის 3 300 000 (სამი მილიონ სამასიათასი) ლარი შეადგინა.
  ხელფასების მატებამ შეადგინა 40%. მადლიერებით მინდა აღვნიშნო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წვლილი კონსერვატორიის ბიუჯეტის გაზრდის საქმეში.

ამ წლების მანძილზე არაერთი ქართველი და უცხოელი მეცენატისა და მეგობრის ხელშეწყობით ჩემ მიერ კონსერვატორიაში მოზიდულ იქნა 7 მილიონ ლარზე მეტი არასაბიუჯეტო თანხა.

მე მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის ყველა დროის მთავრობებს იმ მხარდაჭერისათვის, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვგრძნობდით.

სრულიად განსაკუთრებულად მინდა გამოვყო საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის ბატონ მიხეილ მაჭავარიანის წვლილი და ერთგულება. იგი ყოველთვის დგას ჩრდილში, მაგრამ ყველა დროს ყველა პრობლემის მოგვარებაში გვეხმარება.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩვენს სპოსორებს, მეცენატებს, მეგობრებს, საქართველოში აკრედიტებულ საელჩოებს, ჩემი გუნდის თითოეულ წევრს დაწყებული მათგან, ვინც ჩემი მოღვაწეობის სათავეებთან იდგა ჩემ გვერდით - დამთავრდებული დღევანდელი თანაგუნდელებით: კონსერვატორიის ადმინისტრაციას, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, მომსახურე პერსონალს - დარაჯებიდან დამლაგებლებამდე. მინდა პერსონალურად გადავუხარო მადლობა ჩემს მოადგილეს და თანამოაზრეს ქალბატონ მანანა ანდრიაძეს. მასთან მუშაობა ჩემთვის იყო დიდი სიხარული და დიდი პატივი. დაბოლოს, მადლობა ჩემს ოჯახს, ჩემს მეუღლეს ამ წლების მანძილზე ჩემი გაძლებისათვის. თუ რამე შევძელი მის მხარდაჭერასა და მოთმინებას უნდა ვუმადლოდე.
არ დავმალავ, ამ თითქმის ორი ათწლეული წლის მანძილზე ადამიანებთან ურთიერთობაში დიდი სიხარულიც განმიცდია და დიდი იმედგაცრუებაც. რა თქმა უნდა, ყველას მოსაწონი ვერ გავაკეთე. ერთადერთი, რაც დანამდვილებით მინდა გითხრათ, არის ის, რომ არასოდეს პირადული არაფერი მამოძრავებდა. ყოველთვის

ვხელმძღვანელობდი ჩვენი კონსერვატორიისა და სამუსიკო განათლების ინტერესებით. ყოველთვის ვცდილობდი ვყოფილიყავი სამართლიანი. თუ რამდენად შევძელი ეს - თქვენი განსასჯელია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ წლებში ბევრი ახალი სპეციალობა შევიძინე, ისეთები როგორიცაა: ეკონომისტი, მენეჯერი, ბუღალტერი, მშენებელი, და ბევრი კიდევ სხვა, ჩემი პროფესიისათვის არასდროს მიღალატია. ყოველთვის ვიყავი და დავრჩები მუსიკოსად, პიანისტად და ღრმად მწამს, რომ სწორედ პროფესიისადმი სიყვარულმა, ერთგულებამ და ჩემმა პროფესიულმა ავტორიტეტმა შემაძლებინა ყოველივე ის, რაც გაკეთდა.

იმედია, დღევანდელი ჩემი ანგარიში თქვენ მიერ არ აღიქმება არც თავის ქებად და არც ცრუ თავმდაბლობად. ეს ის სიმართლეა, რომლითაც მე ამ წლების მანძილზე ვიცხოვრე.

დაბოლოს, ყველასათვის ცნობილია, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია გახლავთ I უმაღლესი სასწავლებელი მთელ ამიერკავკასიაში, რომელიც 1917 წელს დაარსდა. აქედან მოყოლებული იგი ყოველთვის იყო ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემის ავანგარდში. მას უმძიმეს წლებშიც კი არ დაუკარგავს თავისი ღირსება და პროფესიული სიმაღლე. სულ რამდენიმე დღეში აკადემიური საბჭო კონსერვატორიის ახალ რექტორს აირჩევს. მე ღრმად მწამს, რომ იგი იმ ღირებულებების, პრინციპებისა და ტრადიციების ერთგული იქნება, რომლითაც, აი, უკვე საუკუნეა ამაყობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია და მთელი ჩვენი ქვეყანა.

გმადლობთ ყურადღებისათვის.